ხაშურის მოამბე

№30(403) 14 აგვისტო, ორშაბათი, 2023 წელი

გვირგვინებით შეამკეს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპული მებრძოლების მემორიალური დაფა და მათი საფლავები

8 აგვისტოს, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა თენგიზ ჩიტიაშვილმა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ნინო ლიპარტელიანმა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპული მებრძოლების მემორიალური დაფა და 2008 წლის აგვისტოს ომის გმირების საფლავები გვირგვინებით შეამკეს.

2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომმა ხაშურის მუნიციპალიტეტიდან სამი ახალგაზრდის სიცოცხლე შეიწირა. ვახტანგ გორგასლის მესამე ხარისხის ორდენის კავალერი -კაპრალი დავით ბლიაძე ქვიშხეთშია დაკრძალული, კაპრალი ზაურ მახარაშვილი, რომელსაც გარდაცვალების შემდეგ მედალი "მხედრული მამაცობისთვის" გადაეცა, მისი მშობლიური სოფლის - ოსიაურის სასაფლაოზე განისვენებს, ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენის კავალერმა კაპრალმა გიორგი წიქარიშვილმა კი სამუდამო განსასვენებელი თბილისის ძმათა სასაფლაოზე პოვა.

მერთან და საკრებულოს თავმჯდომარესთან ერთად 2008 წლის აგვისტოს ომის გმირების ხსოვნას პატივი მიაგეს მუნიციპალიტეტის სხვა ხელმძღვანელმა პირებმა და თანამშრომლებმა. ხაზგასმით აღინიშნა, რომ გმირების სიმამაცე და თავდადება სამაგალითოა თითოეული ჩვენგანისა და მომავალი თაობებისთვის!

შოვი - კიდევ ერთი მწარე ისარი საქართველოს გულში

ტრაგედიები არ გველევა ქართველებს. ტრაგედიები არ ელევა საქართველოს. ტრაგედიები, რომლის მასშტაბმაც მთელი ერი შეძრა და შეაძრწუნა. ცრემლი, გოდება, გოდება, ცრემლი... პირველი, ამ ამბის გაგებიდან, ემოციური შოკიდან გამოსვლის და ოდნავ გონზე მოსვლის შემდეგ, რაც ყოველ ჩვენგანს აღმოხდა ალბათ ორი სიტყვა იყო: „რისთვის, უფალო!" შემდეგ კი, უკვე ცივი გონებით განსჯისას, ერთადერთი დასკვნაა ალბათ რეალური: ამ ტრაგედიების მიზეზი ისევ ჩვენშია. 1991 წლის შემდეგ, რაც საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა, 32 წელია ერთმანეთს ვჯიჯგნით ქართველები. რა არ ვნახეთ ამ წლებში: ძმათამკვლელი ომი, გაუტანლობა, შური, ზიზღი, ბოღმა, სხვისი სიტყვის მიუღებლობა, სხვისი აზრის იგნორირება, საკუთარი კეთილდღეობის უზენაეს რანგში აყვანა და მოყვასის სიყვარულის დავიწყება... სწორედ სიყვარულის უმწვავესმა დეფიციტმა ჩაგვაგდო ამ დღეში. ახლაც კი, როდესაც ამ უმძიმესმა ტრაგედიამ, ერთ მუშტად უნდა შეგვკრას, რაღაც ბრალდებებს ვუგონებთ ერთმანეთს. ბუნების ამ საშინელ მოვლენას პოლიტიკურ სარჩულს ვადებთ და ერთმანეთის სალანძღავად ვიყენებთ. ყველაფერი უკუღმა რატომ ხდება ჩემს სამშობლოში? ნათქვამია ჭირში შური და ბოღმა ქრება, ორთქლდება და მის ადგილას სათნოება იკავებსო... ჩვენთან რატომაა პირიქით? რატომაა, რომ ადამიანის გონების ეს დამანგრეველი თვისებები, ამ დროს უფრო ღვივდება და უფრო დიდ კოცონად გარდაიქმნება? დიახ, ვცოდავთ უფლის წინაშე და ალბათ, სასჯელსაც ამიტომ ვიღებთ. არა, ის უცოდველი პატარები, რომლებიც ტრაგედიას ემსხვერპლნენ, არ არიან დასჯილები და დარწმუნებული ვარ, უკვე ანგელოზებმაც ჩაიხუტეს, დასჯილები ჩვენ ვართ და სანამ ერში ასეთი გაუტანლობა იქნება, ვინძლო ასეთი სასჯელები გაგრძელდეს კიდევ.

ერთიც: მოსემ ორმოცი წელი ატარა ებრაელი ერი, რომ აღთქმულ მიწამდე მიეყვანა. ნურავინ იფიქრებს, რომ ბიბლიაში ეს ორმოცი წელი პირობითი ცნებაა. ალბათ, სწორედ ამდენი დრო სჭირდება ადამიანის გონების ტრანსფორმაციას. ჩვენ კიდევ რვა წელი გვაშორებს, რომ დამოუკიდებლობის ორმოცწლიან ზღვართან მივიდეთ. მერე კი.... თუმცა, თუ ასე გავაგრძელეთ, ერთი ორმოცი წელი კიდევ დაგვჭირდება, რომ ზღაპრული ფენიქსივით ფერფლიდან აღვდგეთ და განვიწმინდოთ.

თავს ვხრით ამ ტრაგედიის დროს დაღუპულთა წინაშე და მეოხად ვუდგებით უფალს, რომ მათ წმინდა სულებს ანგელოზთა სავანეში მიუჩინოს ადგილი.

დაბოლოს, იმათ გასაგონად, ვინც ამ ტრაგედიას აბსურდულ სარჩულებს უდებს, რომ სხვისი ლანძღვით როგორმე კვლავ საკუთარი დაზიანებული ეგო აზეიმონ. ისევ ბიბლიას მივმართავ: „ნუ განიკითხავ, რათა არ განკითხვინდე, რამეთუ განკითხვითა შენითა განიკითხნები და რომლითა საწყაულითა მიუწყავ, მოგეწყოს შენ." გ. გოგოლაძე

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის მიერ 2023 წლის იანვარ-ივლისის თვეების გაწეული მუშაობის ანგარიში

2023 წლისათვის მერიის განათლების, კულტურის და სპორტის სამსახურის მიერ მომზადებული პროგრამების ფარგლებში:

კულტურული ღონისძიებების განხორციელებისათვის, ბიუჯეტი განისაზღვრა 177 820 ლარის ოდენობით;

სპორტული ღონისძიებების ბიუჯეტი - 315 900 ლარით;

ახალგაზრდული ღონისძიებების პროგრამა - 40 420 ლარით.

მუზეუმების განვითარების ხელშეწყობის პროგრამა - 260 790 ლარით;

ბიბლიოთეკების განვითარების ბიბლიოთეკების განვითარების ხელშეწყობის პროგრამა - 209 410 ლარით;

ხელოვნების განვითარების ხელშეწყობის პროგრამა - 392 040 ლარით;

სკოლისგარეშე სახელოვნებო–საგანმანათლებლო სფეროში განსახორციელებელი პროგრამა - 359 710 ლარით;

ფიზიკური აღზრდის ხელშეწყობის პროგრამა - 720 940 ლარით;

სკოლამდელი აღზრდის სფეროში განსახორციელებელი პროგრამა - 573 600 ლარით; 3

გაზეთ „ხაშურის მოამბის“ ფუნქციონირების პროგრამა - 52 390 ლარით.

კულტურის სფეროში განსახორციელებელი ღონისძიებების პროგრამის ფარგლებში გაიმართა შემდეგი სახის აქტივობები:

საანგარიშო წლის დასაწყისშივე, შობა-ახალი წლისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ფარგლებში, ორგანიზება გაუკეთდა საახალწლო ღამის კონცერტს, ტკბილეული და საახალწლო საჩუქრები გადაეცათ: დედათა და ბავშვთა და მცირე საოჯახო ტიპის სახლებს, ინკლუზიური განათლების საჭიროების მქონე ბავშვებს, სოფ. წაღვლში და ჩორჩანაში მცხოვრებ დაწყებითი კლასის და ალტერნატიული საბავშო ბაღის აღსაზრდელებს. ტკბილეული და სასურსათო პაკეტები გადაეცა 15 კრიზისულ ოჯახს.

7 იანვარს, პრემიერ-მინისტრის ინიციატივითა და ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ჩართულობით, გაიმართა კონცერტი ადგილობრივი და მოწვეული მომღერლების მონაწილეობით. აგრეთვე გაიმართა გამოფენა გაყიდვა ადგილობრივი მეწარმეების მონაწილეობით.

ქრისტეშობის დღესასწაულთან დაკავშირებით, სამსახურის წარმომადგენლებმა საშობაო ალილოსთვის განკუთვნილი ტკბილეული წმინდა დიმიტრი ყიფიანის პანსიონში მიიტანეს.

14 იანვარს, საქართველოში სახელმწიფო დროშის დღესთან დაკავშირებით, განათლების, კულტურის და სპორტის სამსახურის ორგანიზებით, ხაშურში, სახელმწიფო დროშები გამოიფინა.

20 თებერვალს, დაბა ბაკურიანში მსოფლიო ჩემპიონატის გახსნასთან დაკავშირებით, განხორციელდა ხაშურელი მეწარმე ქალთა კავშირის წევრების ტრანსპორტით უზრუნველყოფა. მეწარმეებმა საკუთარი ნაწარმი წარმოადგინეს აღნიშნულ ღონისძიებაზე.

25 თებერვალს, სურამში, უკრაინელი პოეტი ქალის, ლესია უკრაინკას დაბადების დღესთან დაკავშირებით, მერიისა და საკრებულოს წარმომადგენლებმა გვირგვინით შეამკეს მისი მემორიალი.

6 მარტს, სოფ. ოსიაურთან, ქართველი გმირებისა და იუნკერების ხსოვნის პატივისცემის ნიშნად, მერიისა და საკრებულოს წარმომადგენლებმა გვირგვინით შეამკეს მემორიალი.

3 მარტის დედის და 8 მარტის ქალთა საერთაშორისო დღეებთან დაკავშირებული ღონისძიებების ფარგლებში, მუნიციპალიტეტის მერიაში დასაქმებულ დამლაგებელ და პოლიციაში დასაქმებულ ქალბატონებს გადაეცათ ყვავილების თაიგულები და ტკბილეული.

28 მარტს განხორციელდა ანზორ ერქომაიშვილის სახელმწიფო ცენტრის გალერეაში ხაშურის მუნიციპალიტეტიდან სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ოსტატების და მათი ნამუშევრების ტრანსპორტით უზრუნველყოფა.

9 აპრილს, მერიისა და საკრებულოს წარმომადგენლებმა გვირგვინითა და ტიტებით შეიმკო დაღუპულთა ხსოვნის მემორიალი. ჩატარდა მოსახსენიებელი პარაკლისი.

10 აპრილს, განათლების, კულტურის და სპორტის სამსახურის ხელშეწყობით, ხაშურის სამუსიკო სკოლაში კომპოზიტორ კახა ცაბაძის საღამო გაიმართა. სამუსიკო სკოლის სიმებიანი, საფორტეპიანო და საგუნდო კლასების მოსწავლეებმა და პედაგოგებმა კახა ცაბაძის კომპოზიციები თბილისის კამერულ ორკესტრთან ერთად დირიჟორ რევაზ ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით შეასრულეს.

26 აპრილს, სოფ. ქვიშხეთში, გაიმართა სახალხო დღესასწაული „ყიფინაობა“. ღონისძიებათა ფარგლებში, დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმში გაიმართა გამოფენა და ადგილობრივი შემოქმედებითი ჯგუფების კონცერტი. მოხდა მონაწილეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა.

ბეჭვდითი მომსახურების ხელშეწყობის ფარგლებში, დახმარება გაეწია ხაშურის საპატიო მოქალაქეს, მურად მთვარელიძეს, წიგნის ,,ამბები მთაზე და ჩემზე'' გამოსაცემად.

9 მაისს, ფაშიზმზე გამარჯვების 78-ე წლისთავთან დაკავშირებით, მერიისა და საკრებულოს წარმომადგენლებმა გვირგვინით შეამკეს მეორე მსოფლიო ომში დაღუპულთა ხსოვნის მემორიალი. აგრეთვე, ყვავილებითა და სიმბოლური საჩუქრებით დასაჩუქრდა მეორე მსოფლიო ომის მონაწილე, ხაშურის საპატიო მოქალაქე, ღვაწლმოსილი პედაგოგი ნინო ქურდაძე.

ბავშვთა და მოზარდთა XV რესპუბლიკურ ფესტივალ-კონკურსის „იპოვე შენი ვარსკვლავი“ გალა კონცერტზე მონაწილეობისათვის ტრანსპორტირებით იქნა უზრუნველყოფილი ანსამბლი „ცხრამუხა“.

ქ. გორში, ,,ერეკლეს აბანოს“ შენობის წინ, შიდა ქართლის სამხარეო ადმინისტრაციის, შიდა ქართლის ტურისტული კაშირის ,,მეგზური“ - ის ორგანიზებით, საზეიმოდ გაიხსნა შიდა ქართლში ტურისტული სეზონი, რომელშიც გორის, კასპის, ქარელის მუნიციპალიტეტებთან ერთად ხაშურის მუნიციპალიტეტიც მონაწილეობდა.

გრანდიოზული ღონისძიებებით აღინიშნა საქართველოს დამოუკიდებლობის დღე, 26 მაისი. მერიისა და საკრებულოს წარმომადგენლებმა გვირგვინით შეამკეს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპულ გმირთა მემორიალი, საქართველო-სომხეთის 1918-1919 წლების ომში ხაშურის რაიონიდან გარდაცვლილ მებრძოლთა სამმო სასაფლაო და სოფელ აძვისში, პატრიოტი მოქალაქის, დავით ნიკოლოზის ძე კაპანაძის საფლავი. ქალაქის ქუჩებში მოეწყო ეროვნული სამოსით კოსტუმირებული მსვლელობა. დიმიტრი ყიფიანის სახ. სკვერში მოეწყო ადგილობრივი შემოქმედების ნამუშევრების, მეწარმეთა ნაწარმის გამოფენები. პარალელურად, ქალაქის ცენტრალურ სკვერში არსებულ მინი სტადიონზე პეინტბოლის ტურნირი ჩატარდა. ღონისძიებების ფარგლებში, რკინიგზის სადგურის ფოიეში, ახალგაზრდა ხაშურელი ფოტოგრაფის, ლანა ბლიაძის ფოტოგამოფენა გაიხსნა. დღის ბოლოს კი, ადგილობრივი და მოწვეული პოპულარული მომღერლების მონაწილეობით საზეიმო კონცერტი გაიმართა. სადღესასწაულო განწყობა ფეიერვერკმა დაასრულა.

27 მაისს, ასევე საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით, ხაშურის სამუსიკო სკოლაში კლასიკური მუსიკისა და პოეზიის საღამო გაიმართა. კონცერტში მონაწილეობდნენ საერთაშორისო და ადგილობრივი კონკურსების ლაურეატები და პოეტი ნანა ციხცაძე. ღონისძიება განათლების, კულტურის და სპორტის სამსახურის ორგანიზებით ჩატარდა.

29 მაისს, ქალაქ ბათუმში, ტურიზმისა და სასტუმრო აღჭურვილობის რიგით მე-14 საერთაშორისო გამოფენაზე „EBIT-2023“, განათლების, კულტურის და სპორტის სამსახურის ორგანიზებით, მონაწილე 85 ქართულ და საერთაშორისო კომპანიას შორის, ჩვენი მუნიციპალიტეტი ღირსეულად წარმოჩინდა ადგილობრივი ოსტატების მიერ.

მაისის თვეში, ლატვიის დამეგობრებულ ქალაქ ბაუსკას ფესტივალზე „ოქროს მუხის ქვეშ“, მიწვეულ ხაშურის მუნიციპალიტეტის დელეგაციისთვის, მასპინძელ მხარეზე გადასაცემად, შეძენილ იქნა საჩუქრები.

მაისის თვეშივე, პოლონეთის დამეგობრებულ ქალაქ ტარნოვში, ქალაქის დღესასწაულზე მონაწილეობისათვის, დაფინანსდა სპეციალურად ამ დღესასწაულზე მიწვეული მუნიციპალური ქორეოგრაფიული ანსამბლი ,,ფრესკა“ (12 წევრი). ასევე, ხაშურის მუნიციპალიტეტის დელეგაციისთვის, მასპინძელ მხარეზე გადასაცემად, შეძენილ იქნა საჩუქრები.

1 ივნისს, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, ღია ცის ქვეშ, საბავშვო ბაღების გაერთიანების მიერ, მოეწყო საბავშვო კულტურულ-სპორტული აქტივობები, მოწვეულმა ანიმატორებმა იზრუნეს ბავშვების საზეიმო განწყობაზე. ამასთანავე, სადღესასწაულო ტორტით, წვენებითა და ბუშტებით დასაჩუქრდნენ „მომავლის სახლის“ ბენეფიციარები.

14 ივნისს, განათლების, კულტურის და სპორტის სამსახურის ხელშეწყობით, ხაშურის სამუსიკო სკოლაში ახალგაზრდა მომღერალმა სოფიკო კანდელაკმა სოლო კონცერტი გამართა. შესრულებული იყო თანამედროვე და კლასიკური კომპოზიციები.

გაიმართა ხაშურელი მხატვრის, ლალო გელაშვილის პერსონალური გამოფენა, რომელიც პარალელურად საქველმოქმედო ხასიათს ატარებდა.

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის, საკრებოლოსა და საბიბლიოთეკო გაერთიანების ინიციატივით დაფუძნდა საბავშვო წიგნის ფესტივალი „ასფურცელა“, რომელიც 25 ივნისს, ქალაქის ცენტრალურ მოედანზე - დიმიტრი ყიფიანის სახელობის სკვერში გაიმართა. საბავშვო ლიტერატურის მოყვარულებმა, საბიბლიოთეკო გაერთიანების ყველა ფილიალსა და ხაშურის ცენტრში, უმასპინძლეს საბავშვომწერლებსადაგამომცემლობებს: „არტანუჯი“, ,,ინტელექტი“, „პალიტრა L“, „მანდარინი“, „მახარობელი“. ფესტივალის ფარგლებში, ღია ცის ქვეშ, ჩვენება გამართა თოჯინების თეატრმა და პატარების განწყობაზე იზრუნეს ანიმატორებმა.

27 ივნისს, ტაშისკრის ბრძოლის 414-ე წლისთავთან დაკავშირებით, ქვიშხეთის კულტურის სახლში, გაიმართა ამ ისტორიული გამარჯვების აღსანიშნავი კონცერტი ხაშურის მუნიციპალიტეტის მხატვრულ-შემოქმედებითი ჯგუფების მონაწილეობით. ჩატარდა პარაკლისი.

საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს, სურამისა და ხაშურის ეპარქიის და ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ორგანიზებით, 9 ივლისს, “ახალი ბანას” მიმდებარე ტერიტორიაზე, გაიმართა აფხაზეთის სიმღერის სახელმწიფო ანსამბლ “შავნაბადას” სოლო კონცერტი. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო ახალი ბანას ვაჟთა ანსამბლმა.

29 ივლისს, ხაშურში, დიმიტრი ყიფიანის სახელობის სკვერში, მთავრობის ადმინისტრაციის ორგანიზებითა და ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით, ღონისძიება-”მუსიკალური საღამოები” გაიმართა. ჩატარდა საბავშვო გასართობი აქტივობები, ადგილობრივი მეწარმეების ნაწარმის გამოფენა-გაყიდვა. საღამო დაასრულა მოწვეული მომღერლების გალა-კონცერტმა.

ხაშურის მხარეთმცოდნეობისა და დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმებში, სხვადასხვა პერიოდში, გაიმართა მხატვართა და ხალხური რეწვის ოსტატების ნამუშევართა გამოფენები.

საანგარიშო პერიოდში, მუნიციპალიტეტის სხვადასხვა შემოქმედებითი ანსამბლი თუ შემსრულებელი დაკმაყოფილდა ტრანსპორტირებით, რათა მონაწილეობა მიეღო სხვადასხვა დონის კონკურს-ფესტივალებში, ფართოდ გაეტანა ხაშურის სახელი და პოპულარიზაცია გაეწია მუნიციპალიტეტის კულტურული ცხოვრებისათვის. კერძოდ, ანსამბლი „ქართლი“ იმყოფებოდა ქ. ქუთაისში, მრავალჟანროვან საერთაშორისო ფესტივალ-აპოლონიადა-2023''- ში, ქ. გორსა და ქ.თბილისში ფესტივალებზე, ქ. ბორჯომში ,,კულტურული სოლიდარობის“ ფესტივალზე; ანსამბლი ,,ბექთარი“ ახალციხეში ფოლკლორულ ფესტივალზე; ბავშვთა და მოზარდთა შემოქმედებითი განვითარების ცენტრის ვოკალური ჯგუფი - ქ. ქუთაისში, ფესტივალზე ,,ქუთაისურ გაზაფხული“; ანსამბლი „ცხრამუხა“ - ფესტივალზე „იპოვე შენი ვარსკვლავი“;

მუსიკალური სკოლის მოსწავლეები - ქ. თბილისში ფესტივალ „ბელკანტოზე“; ხაშურის სამუსიკო სკოლის მასწავლებლის ფატი სადაღაშვილი მოსწავლეებით - თურქეთში, ქ. სიდეში ახალგაზრდა მუსიკოს შემსრულებელთა მე -11 საერთაშორისო კონკურს-ფესტივალზე.

ტურიზმის მიმართულებით, ხაშურში, საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის დაფინანსებით, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიისა და შიდა ქართლის ტურისტული კავშირის ,,მეგზური“ -ს ორგანიზებით, ,,სასტუმროების მართვის“ თემაზე ჩატარდა ტრენინგი. რომელშიც მონაწილეობდნენ ხაშურის მუნიციპალიტეტში არსებული საოჯახო სასტუმროების და ღვინის მარნების მეპატრონეები.

ჩატარდა ტრენინგი თემაზე: ,, სოციალური მედიის მართვა“ რომელშიც მონაწილეობა მიიღეს: ხაშურის მუნიციპალიტეტში არსებული საოჯახო სასტუმროების, ღვინის მარნების მეპატრონეებმა და სხვადასხვა აიპების ციფრული მედიის სპეციალისტებმა.

ხაშურის მუნიციპალიტეტის ხელშეწყობით, ხაშურელმა მცირე მეწარმეებმა, აქტიური მონაწილეობა მიიღო, ქ. თბილისში, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ორგანიზებით ჩატარებულ ტრენინგში „ციფრული მარკეტინგი“.

გორის სასტუმრო ,,ლაქში“, საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის დაფინანსებით, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიისა და შიდა ქართლის ტურიზმის კავშირ ,,მეგზურის“ მხარდაჭერით, ,,სურსათის უვნებლობის “ თემაზე ტრენინგი ჩატარდა. რომელშიც მონაწილეობდნენ ხაშურის, გორის და ქარელის მუნიციპალიტეტებში არსებული საოჯახო სასტუმროების, ღვინის მარნების და კვების ობიექტების მეპატრონეები.

სპორტულ ღონისძიებათა პროგრამის ფარგლებში:

ქ. ხაშურის კომპლექსურ სასპორტო სკოლასა და სოფლად არსებულ სასპორტო წრეებზე, რეგულარულად იმართება წვრთნები პროგრამით გათვალისწინებულ შემდეგ სპორტულ სახეობებში: ქ. ხაშურში: ჭიდაობა ძიუდო, ჭიდაობა სამბო, თავისუფალი ჭიდაობა, ბერძნულ-რომაული ჭიდაობა, ქართული ჭიდაობა, ჭადრაკი, კალათბურთი, ფეხბურთი, ჩოგბურთი, ძალოსნობა, რაგბი, ბატუტზე ხტომა, მკლავჭიდი;

დაბა სურამში: ძიუდო, ფეხბურთი, რაგბი;

სოფლებში: სოფ. ვაყაში –ქართული ჭიდაობა, ძიუდო, სოფ. ალში – ქართული ჭიდაობა, ძიუდო, სოფ. გომში – ჭადრაკი, ფეხბურთი, სოფ. ოსიაურში – ქართული ჭიდაობა, სოფ. ცხრამუხაში – ფეხბურთი, სოფ. ბროლოსანში – ჭიდაობა ძიუდო; სოფ. კლდისწყაროში– ძალოსნობა, სოფ. ფლევში – ფეხბურთი, ჭიდაობა, სოფ. ქვიშხეთში – ფეხბურთი.

საწრთვნელო-სააღმზრდელო პროცესში ჩართულია 1 400-მდე ბავშვი/სპორტსმენი.

ხაშურის კომპლექსური სკოლის აღსაზრდელები მუდმივად მონაწილეობენ ქვეყნის მასშტაბით სხვადასხვა დონის შეჯიბრებებში და აღწევენ კიდეც წარმატებებს.

26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღის აღმნიშვნელ საზეიმო ღონისძიებაზე ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიამ დააჯილდოვა წარმატებული სპორტსმენები და მწვრთნელები:

ლევან ნოზაძე- საქართველოს ჩემპიონატზე I ადგილის დაკავებისათვის თავისუფალ ჭიდაობაში;

გიორგი კვინიკაძე - საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელი;

ვახტანგ კვინიკაძე - საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელი;

გიგა ოდიკაძე - საქართველოს ჩემპიონატზე I ადგილის დაკავებისათვის ძალოსნობაში;

ავთანდილ ხარაზიშვილ - წარმატებული სპორტსმენის აღზრდისათვის;

მიშიკო ნოზაძე - ევროპის თასი I ადგილის დაკავებისათვის ჭიდაობა სამბოში;

მალხაზ ნოზაძე - საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელი;

გიორგი ნასყიდაშვილი - ევროპის თასი II ადგილის დაკავებისათვის ჭიდაობა სამბოში;

მალხაზ ნოზაძე - წარმატებული სპორტსმენის აღზრდისათვის;

გიორგი გელაშვილი - ევროპის ჩემპიონატზე კადეტებში I ადგილის დაკავებისათვის ჭიდაობა სამბოში;

მალხაზი ნოზაძე - საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელი;

მიშიკო გაფრინდაშვილი - ევროპის ჩემპიონატზე ჭაბუკებში III aდგილის დაკავებისათვის ჭიდაობა სამბოში;

მულაძე დიმიტრი - წარმატებული სპორტსმენის აღზრდისათვის;

ხვიჩა გაფრინდაშვილი - ევროპის ჩემპიონატზე II ადგილის დაკავებისათვის ჭიდაობა სამბოში;

დიმიტრი მულაძე - წარმატებული სპორტსმენის აღზრდისათვის;

ზაურ დვალაშვილი - საქართველოს ჩემპიონატზე დიდებში I დაკავებისთვის ჭიდაობა სამბოში

ბეგლარ ხარშილაძე - წარმატებული სპორტსმენის აღზრდისათვის

გიორგი გელაშვილი - საქართველოს ჩემპიონატზე კადეტებში I ადგილის დაკავებისთვის ჭიდაობა სამბოში

ნოზაძე მალხაზი- წარმატებული სპორტსმენის აღზრდისათვის

ხვიჩა გაფრინდაშვილი - საქართველოს ჩემპიონატზე ახალგაზრდებში I ადგილის დაკავებისთვის ჭიდაობა სამბოში

დიმიტრი მულაძე - მწვრთნელი

მიშიკო გაფრინდაშვილი - საქართველოს ჩემპიონატზე ჭაბუკებში I ადგილის დაკავებისთვის ჭიდაობა სამბოში

დიმიტრი მულაძე - მწვრთნელი

ზაურ დვალაშვილი - საქართველოს ჩემპიონატზე დიდებში ჭიდაობა ძიუდოში I ადგილის დაკავებისთვის

ბეგლარ ხარშილაძე - მწვრთნელი

მულაძე დიმიტრი - საქართველოს ჩემპიონატზე ვეტერანებს შორის I ადგილის დაკავებისთვის

ლუკა მაისურაძე - პარიზის გრანსლემზე III ადგილის დაკავებისათვის ჭიდაობა ძიუდოში;

ლუკა მაისურაძე –მსოფლიო მასტერსის ტურნირზე III ადგილის დაკავებისათვის ჭიდაობა ძიუდოში;

ლუკა მაისურაძე – თბილისის გრანსლემზე II ადგილის დაკავებისთვის ჭიდაობა ძიუდოში.

ლუკა მაისურაძე – მსოფლიო ჩემპიონატზე I ადგილის დაკავებისთვის ჭიდაობა ძიუდოში.

ლუკა მაისურაძე – მსოფლიო ჩემპიონატზე გუნდურში III ადგილის დაკავებისთვის ჭიდაობა ძიუდოში.

ბეგლარ ხარშილაძე ,ბუხუტი ბუხრიკიძე - მწვრთნელები;

საბა ჩილაშვილი - საქართველოს ჩემპიონატზე 17 წლამდელებში I ადგილის დაკავებისთვის;

საბა ჩილაშვილი - საერთაშორისო ტურნირზე ,,გამარჯვების თასი“ 17 წლამდელებში I ადგილის დაკავებისთვის;

კახაბერ ლომიძე - მწვრთნელი;

გურამ გოგიჩაშვილი - ევროპის ჩემპიონატზე I ადგილის დაკავებისთვის;

დავით სტეფანოვი - მწვრთნელი

დიმიტრი მულაძე --- ძიუდო ვეტერანები, სლოვენია, ქ. პოდჩერეკი ევროპის ჩემპიონატი ბრინჯაოს მედალი.

გიგა ოდიკაძე – ძალოსნობა 20 წლამდელები რუმინეთი, ქ. ბუქარესტი ევროპის ჩემპიონატი ვერცხლის მედალი.

გიორგი ხარაზიშვილი -- ძალოსნობა 20 წლამდელები რუმინეთი, ქ. ბუქარესტი ევროპის ჩემპიონატი ბრინჯაოს მედალი.

ზაურ დვალაშვილი -- ძიუდო მსოფლიო უნივერსიადა ჩინეთი, ქ. ჩენგდუ ბრინჯაოს მედალი.

საანგარიშო პერიოდში გაიმართა:

რამაზ ხარშილაძის რესპუბლიკური ტურნირი ჭიდაობა ძიუდოში,

მერიისა და საკრებულოს ორგანიზებითა და მხარდაჭერით, მუნიციპალიტეტის პირველობა ჭადრაკში,

მარათონი- „შიდა ქართლის ზაფხულის თამაშები-2023“,

საქართველოს ჩემპიონატი ქართულ ჭიდაობაში

საქართველოს ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში,

საქართველოს ჩემპიონატი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში,

დავით დათიაშვილის სახელობის რეგიონალური ტურნირი ჭიდაობა ძიუდოში,

სურამში, რაგბის ფესტივალი „სურამის თასი 2023“,

ხაშურის პირველობა ჩოგბურთში,

ხაშურის საფეხბურთო გუნდი „ივერია“ - ბიჭები, მონაწილეობას იღებდა საქართველოს რეგიონული ლიგის ჩემპიონატში.

ხაშურის საფეხბურთო გუნდი „ივერია“ - გოგონები, მონაწილეობას იღებდა ჩემპიონატში „ქალთა ლიგა 2“.

ხაშურის კომპლექსუს სასპორტო სკოლაში შეკრებაზე იმყოფებოდნენ:

საქართველოს ქალთა საკათბურთო U – 18, U-20 ასაკობრივმა ნაკრებები,

ვაკის საკათბურთო აკადემია,

თბილისის საფეხბურთო სკოლა

ახალგაზრდული ღონისძიებების პროგრამით:

აპრილის დასაწყისში, პროექტ „ჯანსაღი გარემო ჯანსაღი მომავლისათვის” ფარგლებში, სურამში, ახალგაზრდების ინიციატივით განხორციელდა დასუფთავების აქცია. მერიის განათლების, კულტურის და სპორტის სამსახურის მიერ მოხდა მათი ტრანსპორტირებით უზრუნველყოფა და გაზიანი სასმელების და სასმელი წყლის შეძენა.

აპრილი- მაისის თვეში, ორგანიზება გაუკეთდა სასკოლო სპორტულ ოლიმპიადაში მონაწილე სპორტსმენთა ტრანსპორტირებას. მონაწილეებისათვის მერიის მიერ, შეძენილი იქნა სპორტული ეკიპირება.

ახალგაზრდული პროექტების ფარგლებში, 15 და 25 მაისს, განხორციელდა ხაშურის საჯარო სკოლის მოსწავლეთა ტრანსპორტირება საქართველოს პარლამენტში.

მოხდა ხაშურის ახალგაზრდული კლუბის წევრების ტრანსპორტირება საქართველოს პარლამენტში.

26 მაისს ორგანიზება გაუკეთდა ხაშურის საზღვრისპირა სოფლების ჩორჩანისა და წაღვლის ახალგაზრდების დასწრებას საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებულ ღონისძიებაზე.

საანგარიშო პერიოდში, ყოველკვირეულად მიმდინარეობდა ინტელექტუალური თამაში „ბიგ-რაუნდი“, რომლის ფინალური შეხვედრა, მერიის განათლების, კულტურის და სპორტის სამსახურის მიერ, 17-18 ივნისს გაიმართა ქ. ქობულეთში. მოხდა ფინალისტების ტრანსპორტირებითა და სასტუმროს მომსახურებით უზრუნველყოფა. მონაწილეებს გადაეცათ ფასიანი საჩუქრები.

9 მარტს გამართულ სიცილის ლიგის ხაშურელთა გუნდ ,,ცოცხალს“ გაეწია ფინანსური მხარდაჭერა.

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით, ივნისის თვეში, დაფინანხდა ახალგაზრდული მედიაკავშირის ინიციატივით დაგეგმილი ჯომარდობის, მშვილდოსნობის, ზიპლაინისა და პეინტბოლის ღონისძიებები ჩითახევში, სადაც მონაწილეობდნენ მუნიციპალიტეტის კეთილდღეობისა და განვითარების ცენტრის - ,,მომავლის სახლის“ ბენეფიციარები.

6-9 ივლისს, ფესტივალში ,,ნარინჯისფერი ქობულეთი 2023“ მონაწილეობისათვის,ხაშურის მუნიციპალიტეტის კეთილდღეობისა და განვითარების ცენტრის - ,,მომავლის სახლის“ ბენეფიციარებს დაუფინანსდათ სასტუმროს მომსახურება.

„Let do it“ საქართველოსთან თანამშრომლობის ფარგლებში, გაიმართა მრავალი აქტივობა სხვადასხვა მიმართულებით: დასუფთავების, გამწვანების, კედელზე ხატვის აქციები. აღნიშნულ ორგანიზაციასთან თანამშრომლობით, მუნიციპალიტეტს საჩუქრად გადმოეცა ნარჩენების ურნები.

31 ივლისს, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერითა და დაფინანსებით, მუნიციპალიტეტში მცხოვრები 15-19 წლის 13 ახალგაზრდა ბაკურიანში - ინოვაციურ ბანაკში გაემგზავრა.

კონსტანტინე ფრუიძე ,
მუნიციპალიტეტის მერიის
განათლების, კულტურის და სპორტის
სამსახურის ხელმძღვანელი

ულუმბო

ფრაგმენტები სოფლის ისტორიიდან

(გაგრძელება. დასაწყისი №18,19,20,21,22,23,24,25,26,27,28)

ვფიქრობთ, ულუმბის მონასტრის ნანგრევებში გ. ბოჭორიძე ნასაყდრის ღელის სათავეში არსებულ დღევანდელ წმ. გიორგის ეკლესიას გულისხმობს.
არქიტექტორი ტარიელ კიპაროიძე,1974 წელს, სწორედ ამ ეკლესიის შესახებ წერდა: „ღვთისმშობლის ეკლესიიდან სამხრეთ - დასავლეთით ოთხასიოდე ნაბიჯის დაშორებით, ტყეში, ერთ ადგილას მიმოფანტულია ქვიშაქვის გათლილი კვადრები, სარკმლის საპირები, კარნიზის ქვები და სხვა“.

1989 წლის 1 ივნისს, ულუმბაში ყოფნის დროს, ჩვენ მიერაც იქნა დაფიქსირებული აღნიშნული ნანგრევები. მეგზურობას გვიწევდა გოდერძი კიპროიძე, რომელიც 60 - იან წლებში ულუმბოდან გადაასახლეს სურამში, სოფ. იტრიაში.

ნაეკლესიარი მდებარეობს ნასახტრის (იგივე ფიჭვნარის) ღელის მარცხენა მხარეს. ადგილსაც ნასახტარს ეძახიან. მაშინ ასეთი ჩანაწერი გავაკეთეთ: „ნასახტრის (ფიჭვნარის) ღელის მარცხენა მხარეს, ფერდობზე, მოსწორებულ ადგილზეა ეკლესიის ნანგრევები. ქვიშაქვით ყოფილა ნაგები, ქვა დამუშავებულია. ვნახეთ სარკმელის თაღის ქვა. იგი ერთი მთლიანი ქვისაგან არის გაკეთებული, შიგნიდან ჩაღრმავებულია, გარედან ოვალური საპირი მიუყვება. კარგად დამუშავებულია. ვნახეთ კარნიზის ფრაგმენტიც. ნაეკლესიარზე ნანგრევებში ყრია ქართული აგური. ეკლესიის გეგმა ძნელად იკითხება.

გოდერძი კიპაროიძე გვეუბნება, რომ მის მახსოვრობაში აქ უნახავს მას და სხვებსაც, წარწერიანი ქვა, რომელიც ვერავინ წაიკითხა. ქვა ვეძებეთ მაგრამ ვერ ვნახეთ.

აქვე ნაეკლესიართან ნანგრევების რაღაცა ნაშთია შემორჩენილი, რომელიც ძირითადად გრანიტის ქვითაა ნაგები.“

XX ს - ის 90 - იან წლებში, როცა ულუმბის მონასტერი ამოქმედდა, ამ ნაეკლესიარით დაინტერესდა მამა გაბრიელი (ტაბატაძე), რომლის ძალისხმევითაც 2003 წელს დაიწყო არქეოლოგიური სამუშაოები, რომელიც გრძელდებოდა 2006 წლამდე. სამუშაოებს აწარმოებდა არქეოლოგიური კვლევის ცენტრისა და საპატრიარქოს არქეოლოგიის დეპარტამენტის ერთობლივი ექსპედიცია (კ. წერეთელი, გ. ბოლქვაძე, რ. ცხადაძე). ექსპედიციამ იგივე შემადგენლობით მუშაობა განაახლა 2005 წელს. 2006 წელს სამუშაოებს აწარმოებდა ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის ექსპედიცია

. 2003 წლის 28 სექტემბერს ვნახე უკვე გაწმენდილი ძეგლი რამაც საკმაოდ დიდი ინტერესი გამოიწვია. უკვე ნათლად შეიძლებოდა ნაგებობის წაკითხვა.

ეკლესია დარბაზული ტიპისა ყოფილა, რომელიც აღმოსავლეთით ნახევარწლიური აბსიდით მთავრდებოდა, ორნავიანი ჩანს. დაბაზისაგან ჩრდილოეთის ნავი გამოყოფილი იყო ორი ნახევარწლიური თაღით. შემორჩენილია სვეტის ძირის ნაშთი. ეკლესია ორსაფეხურიან სოკოლზე მდგარა. ნაგები ყოფილა კარგად დამუშავებული თლილი ქვიშაქვით. გამოყენებულია აგურიც.
სპეციალისტების მიერ ეკლესია განვითარებული ფეოდალიზმის პერიოდით დათარიღდა. მათ აზრით, იგი აგებული უნდა იყოს XI ს - ის პირველ მეოთხედში. XI ს -ის II ნახევარში იგი სელჩუკებს უნდა დაენგრიათ. აღდგენა უნდა მომხდარიყო XI ს-ის დასასრულსა და არაუგვიანეს XII ს- ის I მეოთხედის შუალედში. ხოლო საბოლოოდ ძეგლი უნდა გაენადგურებინა თემურ ლენგს XIV-XV სს - თა მიჯნაზე, რასაც ამყარებს ძეგლზე გამოვლენილი არქეოლოგიური მასალა, რომლის ქრონოლოგიური დიაპაზონი მოიცავს XI-XIV საუკუნეებს.

არქეოლოგიური გათხრების შედეგად, ულუმბის კომპლექსს წმ. გიორგის ეკლესიის გარდა კიდევ ორი ახალი ძეგლი შეემატა - ორსართულიანი და ოვალური ნაგებობები.

2003 წელს, წმინდა გიორგის ეკლესიაზე არქეოლოგიური სამუშაოების დასასრულს, ეკლესიის ჩრდილო-აღმოსავლეთი მხრის გასუფთავების დროს, დამრეცი ფერდობის ძირას გამოიკვეთა ორმოს თავი და მის აღმოსავლეთით ნაგებობის კედლის კონტურები. ორმოს გასუფთავების დროს გაირკვა, რომ ორსართულიანი ვრცელი ნაგებობის ნაშთი იყო შემორჩენილი. აგურის სიუხვემ ცხადი გახადა, რომ ნაგებობის კედლები, მსგავსად წმ. გიორგის ეკლესიისა, გარკვეული დონიდან აგურით უნდა ყოფილიყო აშენებული. გათხრითი სამუშაოების დასასრულს გაირკვა, ეკლესიის ჩრდილო-აღმოსავლეთით 9 მეტრში მდებარეობდა საკმაოდ მოზრდილი (გარეთა მაქსიმალური სიგრძე - 11,5 მ; სიგანე - 7 მ; შიგთავსის ფართი - 53,65 კვ.მ.) ორსართულიანი ნაგებობის ნაწილი, რომელიც მაღალი რანგის სასულიერო თუ საერო წოდების წარმომადგენელთა რეზიდენციად იქნა მიჩნეული.

ვინაიდან, ორსართულიან ნაგებობაზეც კარგად შეინიშნებოდა ნგრევა-აღდგენის კვალი და გამოვლენილი არქეოლოგიური მასალა ანალოგიური იყო წმ. გიორგის ეკლესიისა, გამოითქვა ვარაუდი, რომ ნაგებობის ქრონოლოგიური არეალი XI – XIV საუკუნეებია. აქედან დასკვნა, ნაგებობას და ეკლესიას მსგავსი წარსული აქვთ.

ორსართულიანი ნაგებობის ჩრდილო-დასავლეთით დაფიქსირდა ე.წ. ,,ოვალური“ ოთახი.

ორსართულიანი ნაგებობის მსგავსად, მასზე გადაბმული ოვალური ოთახიც მთლიანად კორდოვანი ფენის ქვეშ იყო მოქცეული. ოვალური ოთახიც (6,5X4), მსგავსად ორსართულიანი ნაგებობისა, მნიშვნელოვნად დაზიანებული იყო. ისევე როგორც ეკლესიასა და ორსართულიან შენობაში, ოვალურ ოთახშიც სხვადასხვა დონეზე ქვის წყობა აგურის მწკრივებით გრძელდება. აქაც აგურის ფენის გაჩენა არ არის დაკავშირებული რაიმე კონსტრუქციულ გადაწყვეტასთან, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ დანგრეული კედლები აგურის წყობით განუახლებიათ. ოთახს ორი შესასვლელი ჰქონია. ერთი აღმოსავლეთის კედელში, რომელიც გადის ორსართულიანი შენობის ოთახში, ხოლო მეორე - დასავლეთის კედელში.

ე.წ. ,,ოვალური“ ოთახის ჩრდილო-დასავლეთით გაჭრილმა საკონტროლო თხრილმა მძლავრი კულტურული ფენა გამოავლინა. ნანახი იქნა კედლის ფრაგმენტები, რომელთაგანაც ერთი წყობა პირდაპირ ებჯინება ეკლესიის ჩრდილო-აღმოსავლეთ კედელს, ხოლო მეორე, უფრო ჩრდილოეთით მდებარე, ზღუდესავით უვლიდა გარს და ეკლესიიდან დაახლოებით 7 მეტრში იკარგებოდა. სპეციალისტების ვარაუდით, კედლის პირველი წყობა, რომელიც ეკლესიას ებჯინება, შედარებით გვიან უნდა იყოს მიშენებული, რასაც მოწმობს ე.წ. საამშენებლო ,,ნაკერი“ და დაკავშირებული უნდა იყოს ეკლესიისა და ე.წ. რეზიდენციის ,,ფორტიფიცირებასთან“, ვინაიდან სწორედ აღნიშნულ კედელს აქვს შეკრული ერთმანეთთან რეზიდენცია და ეკლესია.

უნდა აღინიშნოს, რომ ვინაიდან ე.წ. ,,ოვალური“ ოთახი წარმოადგენს ორსართულიანი რეზიდენციის უშუალო გაგრძელებას, მათი ერთ ნაგებობად განხილვა ეჭვს არ უნდა იწვევდეს. ამ ვარაუდს ამყარებს ის ფაქტიც, რომ ,,ოვალურ“ ოთახში გამოყენებული საამშენებლო მასალა თუ მშენებლობის ტექნიკა, და რაც მთავარია, აქ აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალა, ორსართულიანი შენობისა და თვით წმინდა გიორგის ეკლესიის იდენტურია. მათ მსგავსად ,,ოვალური“ ოთახიც აგებულიუნდა იყოს XI ს - ის პირველ მეოთხედში. XI ს - ის II ნახევარში სელჩუკების მიერ დანგრეული შენობები ხელახლა უნდა აღედგინათ XI ს - ის დასასრულს ან არაუგვიანეს XII ს - ის I მეოთხედისა. ხოლო ძეგლის საბოლოო განადგურება თემურ-ლენგის უკანასკნელი შემოსევის დროს უნდა მომხდარიყო, ამ თარიღზე მეტყველებს ოვალურ ოთახში გამოვლენილი არქეოლოგიური მასალაც, რომლის ზოგადქრონოლოგიური საზღვრები სწორედ XI – XIV საუკუნეებს მოიცავს.

ულუმბის წმ. გიორგის ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიის არქეოლოგიური შესწავლის შედეგად გამოვლენილი მასალა ძირითადად თუნის ნაწარმისაგან შედგება. აქ ყურადღებას იქცევს საამშენებლო კერამიკა, კერძოდ აგური, ბრტყელი და ღარისებური კრამიტი.

ოვალური ოთახის სამეურნეო კერამიკა წარმოდგენილია ქვევრებისა და დერგების პირგვერდის ნატეხებით. გამოვლენილია საზარეულო კერამიკის ნიმუშები (ქოთნები, კოჭობები, სხვადასხვა ზომის კეცები). სუფრის ჭურჭლიდან ყურადღებას იქცევს დოქები და ტოლჩები, მოუჭიქავი და მოჭიქული ჯამები. უხვად არის აღმოჩენილი მცენარეული, ზოომორფული (ფრინველის, ცხოველის) და გეომეტრიული ორნამენტით მორთული ჯამების ნატეხები.

უნდა შევნიშნოთ, რომ ულუმბის თუნის ნაწარმი (უფრო ქვევრები და დერგები) ადგილობრივ მზადდებოდა. ამაზე მეტყველებს კეცის ფაქტურა. ამ სახეობის ჭურჭლის კეცში უხვადაა შერეული თეტრი და კრისტალური ქვიშა, რომლითაც გაჯერებულია აქაური ნიადაგი. ჭერათხევის (ალის) ხეობა ცნობილი იყო სამეთუნეო საქმიანობით. ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში ვახუშტი ბატონიშვილი აღნიშნავდა, რომ უწლევში ,,...აკეთებენ ჭურსა ღვინისასა კეთილსა, ყოველთა უმჯობესსა“ .

* * *

ულუმბოში, მის ჩრდილო-აღმოსავლეთით, სათიბის სერზე, გოდერძი კიპაროიძის ცნობით, არის კიდევ ერთი ეკლესიის ნანგრევები. სათიბის სერი ულუმბადან 3 კილომერტრში მდებარეობს, ულუმბოდან ბელათხევით შეიძლება მოხვედრა. ბელათხევის ღელე, სათიბის ძირიდან გამოედინება სოფლის შესასვლელში ჩამოდის და ულუმბოს წყალს ერთვის. სამწუხაროდ, ვერც 1989 წელს და ვერც შემდგომ წლებში მისი ნახვა ვერ მოვახერხეთ. ეს მხოლოდ მოგვიანებით, ორი ათეული წლის შემდეგ შევძელით.

2012 წლის 14 აგვისტოს, ულუმბის ღვთისმშობლის ეკლესის წინამღვრის მამა ილიას (ხაჩიძე) ხელშეწყობით შედგა მცირე ექსპედიცია (ავთანდილ გელაშვილი, ომარ კიპაროიძე, თამარ ლაცაბიძე, გოჩა გელაშვლი, თამაზ ლაცაბიძე), რომლის მიზანი იყო სათიბის სერზე ნაეკლესიარის ნახვა. ულომბის გადასახვევიდან გზა საჩხერის მიმართულებით გავაგრძელეთ. ეს შედარებით შორი გზა იყო, მაგრამ ჩვენი მეგზურების (ავთანდილ გელაშვილი და ომარ კიპაროიძე) რჩევით, თუმცა სამანქანო გზით შევძლებდით სათიბის სერზე ასვლას და დროსაც მოვიგებდით...

გავიარეთ ე. წ. „სამძღვრები“, რომელიც ხაშურისა და საჩხერის რაიონების გამყოფი ადგილია. შემდეგ წვერეების მიწა და სათიბების სერზეც მივედით. ეს სერი ულუმბისა და ჭოშორის საზღვარზეა, ზოგიერთი ადგილიდან ჭოშორაც მოჩანს...

დავეძებთ ნაეკლესიარს. ჩვენს მეგზურებსაც უჭირთ, დიდი ხანია, აქეთ აღარ ვყოფილვართ, ბევრი რამ შეცვლილაო, ამბობენ ისინი. ომარ კიპაროიძეს ახსოვს, რომ მინდორში, ნაეკლესიარის გარშემო, რცხილის პატარა, ჯუჯა ხეები იყო, იქვე პანტის ხეც იდგაო. ასეთი ადგილი მართლაც ვნახეთ, მაგრამ ეჭვის თვალით უყურებდნენ თავად მეგზურები, რატომღაც უფრო სხვაგვარი ადგილი ახსოვდათ. მინდორში სამხრეთისა და დასავლეთის მიმართულებით გზები მიემართება, ჩვენც ამ გზისაკენ წავედით. გავიარეთ გარკვეული მანძილიც, მაგრამ ვერსად ვნახეთ რაიმე ნანგრევების კვალი. ბოლოს ისევ იმ ადგილზე მოვბრუნდით, რომელზეც ომარ კიპაროიძე მიგვანიშნებდა. აქ, როგორც ზემოთ ვთქვით, მართლაც დგას რცხილის ხეები, მაგრამ არა პატარა, ჯუჯა, არამედ უკვე საკმაოდ მოზრდილები. აღმოსავლეთის მხარეს პანტის ხეც დგას, (დასავლეთის მხარესაც). ხეებს შორის მცირე ზომის ხავსმოდებული კლდის ქვების გროვაა. მოსჩანს ორი მოზრდილი ქვაც. დიდი სჯა-ბაასის შემდეგ დავასკვენით, რომ ნამდვილად ნაეკლესიარზე ვდგავართ.

ადგილზე არაფერი იკითხება, არანაირი კვალი არ ჩანს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ქვების გროვასა და ულუმბოელებში დამკვიდრებულ ტრადიციას, რომ აქ, სათიბების სერზე (დიდი სათიბის თავზე,- აკონკრეტებს ომარ კიპაროიძე) ნაეკლესიარი არისო.

ვფიქრობთ, ეს ადგილი უნდა გაიწმინდოს და შესაძლებელია, რაღაც გამოჩნდეს, რაც განამტკიცებს ულუმბოელთა მიერ თაობიდან თაობაზე გადაცემულ ინფორმაციას, რომ აქ ეკლესია იდგა.

ხელაღებით ამ ინფორმაციის უარყოფა არ შეიძლება. ულუმბო კარგად ჩანს, რომ დიდ სამონასტრო კომპლექსს წარმოადგენდა და არ არის გამორიცხული, აქაც მდგარიყო ეკლესია. გადავიღეთ სურათები, დავაფიქსირეთ ნაგრევები და უკან გამოვბრუნდით. ისევ ნაცნობი გზა. ნავთობსადენის პუნქტიდამ ჭოშორასკენ მიმავალ გზას დავადექით. მამა ილიას ტელეფონით შევეხმიანეთ, რომ გადასახვევთან დაგვხვედროდა. ჩავედით გომი - საჩხერის სამანქანო გზაზე და გეზი ულუმბისკენ ავიღეთ...

მოლოდინს გადააჭარბა წმ. გიორგის ახლადაგებულმა ეკლესიამ. იგი გამოირჩევა სისადავით. სწორედ ეს მატებს მას საოცარ სილამაზეს. შთამბეჭდავია. დიდი შრომა გაუწევია მამა გაბრიელს.

ეკლესიის სამხრეთის კედელზე გაკეთებული წარწერა გვამცნობს: ,,მიუწდომელითა საღმრთოითა განგებულებითა! უფალმა გამოაჩინა ჟამთა სვლისაგან დაფარული წმიდა მონასტერი ესე, რომელიც აღეშენა და განახლდა შეწევნითა წმიდისა დიდისა მოწამისა ძლევამოსილისა და საკვირველმოქმედისა გიორგისათა, ლოცვა-კურთხევითა მაღალყოვლადუსამღვდელოისა ურბნისისა რუისის მიტროპოლიტისა იობისათა და მდაბლისა არქიმანდრიტისა გაბრიელისათა და ძმათა მისთა.

ღმერთო, აკურთხე და გაახარე ორთავ სოფელსა შინა ქტიტორნი წმიდისა ამის მონასტრისა: მონანი ღმრთისანი დავითი, ზვიადი, გიორგი, ბაქარი, ალექსანდრე, ბეჟანი და მხევალი ღმრთისა ირინე და ყოველნი სახლეულნი მათნი სადიდებელად ყოვლადწმიდისა სამებისა, მამისა და ძისა და სულისა წმიდისა აწ და მარადის უკუნითი უკუნისამდე, ამინ“.

ეკლესია თითქმის იმეორებს ძველი ეკლესიის სტილისტურ ნიშნებს. ორნავიანი ბაზილიკაა. შესასვლელი სამხრეთითა და დასავლეთით აქვს. ნახევარწრიულ აბსიდში ერთი სარკმელია, სამხრეთის კედელში ორი, დასავლეთის კედელში ერთი. ეკლესიას ნავი ჩრდილოეთის მხრიდან აქვს მიშენებული. აქაც ნახევაწრიულ აბსიდში ერთი სარკმელია გაჭრილი, მის მოპირდაპიორედ, დასავლეთითაც ერთი სარკმელია. ნავი დარბაზისაგან გამოყოფილია ჩრდილოეთის კედელში დატანებულ სვეტზე გადაყვანილი თაღებით.

კანკელი ქვისაა, გამოირჩევა სისადავით.

ეკლესია ორსაფეხურიან სოკოლზე დგას.

აღმოსავლეთის ფასადზე, სარკმლის ზემოთ რელიეფური ჯვარია გამოსახული.

ეკლესიის პერანგი მოყვითალო-მოთეთრო ქვიშაქვის თანაბარზომიერი კვადრებითაა შესრულებული.

ეკლესიას წრეთარგიანი ლავგარდანი აქვს.

თ. ლაცაბიძე

(გაგრძელება იქნება)

წარსულის მოგონებები

ათასი ბავშვის დედა

მოგზაურობა დროში ყველაზე საინტერესო მოგზაურობაა. მოგონებები, რომლებსაც ადამიანები უბის წიგნაკით ატარებენ, ერთგვარი ხიდია წარსულთან. თანამედროვეობასთან პარალელის გავლების, ღირებულებათა გადაფასების და აჩრდილთა გაცოცხლების საუკეთესო გზაა...

ფაშისტური გერმანიის მუხანათურმა თავდასხმამ არნახული ზიანი მიაყენა

საბჭოეთის მოსახლეობას, ოკუპაციის ქვეშ მოექცა ტერიტორიების დიდი ნაწილი. საჭირო გახდა უდედმამოდ დარჩენილი ბავშვების სამშვიდობოზე გაყვანა. ერთ-ერთ ასეთ ადგილს წარმოადგენდა ხაშურის სკოლა-ინტერნატი. მისი პირველი ხელმძღვანელი იყო ცნობილი საზოგადო მოღვაწე პეტრე კაპანაძე, შემდგომში კი დირექტორი ქეთევან დავითაშვილი გახდა.

თამაზ შენგელია, სპეციალობით ინჟინერ-მშენებელი, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ საჭადრაკო მიმოხლილველი იხსენებს: „ხაშურელი პედაგოგები მშობლიურ მზრუნველობას არ აკლებდნენ პატარებს, რომელთა შორის იყო დედაჩემი, საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი, უმაღლესი სინჯის ორდენოსანი, ქსენია ალექსის ასული ბარამიძე (დედით ბეგიაშვილი).

იგი დაიბადა ხაშურში (1900-1991), გარდაიცვალა თბილისში - სამოქალაქო ძმთამკვლელი ომის დროს. გარდაცვალების მოწმობის აღებისას, ბიუროს თანამშრომლებმა გამაცნეს საინტერესო სტატისტიკა: გარდაცვლილთა შორის უმრავლესობა ხანდაზმული მასწავლებლები იყვნენ. „ქარველები ერთმანეთს ებრძვიან, იქნებ აღარც ღირს სიცოცხლეო“. ასე ითვლიდა უკანასკნელ დღეებს დედა.

მიუხედავად იმისა, რომ განათლების იმდროინდელი სისტემა ძირითადად რუსულენოვანი იყო, ეროვნული მუხტი არ ჩამქრალა ქართველების გულში, რომლის საუკეთესო მაგალითი გახლდათ დედა.

საინტერესო გზა განვლო. განათლება მიიღო გორისა და თბილისის გიმნაზიებში. ბატონმა კოტე ჩოლოყაშვილმა (ცნობილი ისტორიკოსი, მეცნიერი), რომელიც დედის მოსახსენებელ სუფრას თამადობდა, გაიხსენა: გორის გიმნაზიაში, შესვენებისას, დედა ქართულად ესაუბრებოდა, თურმე, მეგობარს, ეთერ რაზიკაშვილს. კანცელარიის დირექტორმა შეურაცხყოფა მიაყენა დედას -„ძაღლის ენაზე რატომ საუბრობთო“. პასუხი დაუყოვნებლივ გაეცა შოვინისტ კანცელარიის მოხელეს. ვერდიქტი ასეთი იყო: - „ან მე ან ბარამიძე.“ გიმნაზიის დირექტორი უფრო „ლმობიერი“ აღმოჩნდა და ურჩია დედას თბილისის გიმნაზიაში გადასულიყო დადებითი დახასიათებით. „ზოგი ჭირი მარგებელიაო“- გორელი ქველმოქმედისა და დედის ნათლიის ბინა, რომლის მფლობელი გარსევანიშვილი იყო, მიწისძვრის შედეგად მთლიანად დაინგრა.

საინტერესო ეპიზოდი შეიძლება გავიხსენო კურორტ სოჭში, სადაც სასტუმრო „ლენინგადსკაიაში“ ვისვენებდით დედასა და ჩემს უფროს ძმასთან ერთად. ძმებმა ნაცნობებში მოვილხინეთ და ცოტა ხმამაღლა შემოვედით სასტუმროს ფოიეში, სადაც დედა შემოგვეგება. სასტუმროს თანამშრომელმა უხეშად შემოგვიტია: „ Надоели мне эти грузины“-ო, რომელსაც საკადრისი პასუხი ისევ დედაჩემმა გასცა და აუხსნა, რომ ეს სოჭი და არა სოჩი საქართველოს ტერიტორიაა და აქ ჩვენ ყოფნა არ უნდა შეგვეზღუდოსო.

სკოლაში ყოველწლიურად ჩამოდიოდა მოსკოვის კომისია, რომელმაც არაერთხელ თხოვა დედას მოსკოვის ნებისმიერ სკოლაში გადასვლა. პასუხი



მოკლე იყო: „საქართველოს მზეს და ბუნებას ვერ შეველევიო“.

საერთოდ, დედას უბრალო მშრომელ ხალხთან ურთიერთობა ანიჭებდა სიამოვნებას. ესენი იყვნენ ხელოსნები, საწარმოების მუშები, საყოფაცხოვრებო მომსახურების მუშაკები, რომლებიც ჩვენი სახლის მოპირდაპირე მხარეს დროებით ნაგებობაში ცხოვრობდნენ. როცა სახლში არ იყო, ვიცოდით, რომ იქ მიაშურებდა, სადაც პატარებს გაკვეთილებს უტარებდა.

ახალგაზრდობაში უყვარდა გალაღება, შეკრებდა თავის დაქალებს და ე.წ. კვების ობიექტებზე აწყობდა შეხვედრებს, გასამრჯელოს უზრუნველყოფდა მამა - ხაშურის რკინიგზის მემანქანე ალექსი ბარამიძე.

სამი უმცროსი დედმამიშვილი: მანია, თამარი და მარგარიტა რადიკალურად განსხვავდებოდნენ მოკრძლებული ბუნებით. პეტერბურგში მოგზაურობის დროს, ერმიტაჟის თანამშრომელმა იმ დარბაზში, რომელსაც გააჩნდა განსაკუთრებული აკუსტიკა, თხოვა მაყურებლებს, ვის შეგიძლიათ იმღეროთო. დედამ შეასრულა ქართული სიმღერა „მხოლოდ შენ ერთს“ და ჩვენ, დები მორცხვად ვიმალებოდით, არაფერი შეეშალოსო. მოულოდნელად იქუხა აპლოდისმენტებმა „ბრავოს“ შეძახილებით.

კარგად მახსოვს დედაჩემს როგორ მიმართავდნენ უდედმამო რუსულენოვანი ბავშვები. „დედა, მე შემეკითხე, მე გიპასუხებ“. ასე ეხმიანებოდნენ საყვარელ დედად მონათლულ აღმზრდელს. ამის უფლება, როგორც ამიხსნა დედამ, მე მივეციო...

განსაკუთრებული დღესასწაულები იმართებოდა ჩვენი ბინის საკმაოდ დიდი მოცულობის აივანზე. პატარები ერთმანეთს ლექსების ცოდნაში ეჯიბრებოდნენ, რასაც თან ახლდა ალუბლის ტკბილი ხინკალი -„ვარენიკები“. გვიან ღამით დედა ბავშვების ნაწერებს ასწორებდა თვალცრემლიანი უყურებდა მათ ნამუშევრებს. ჩუმად მივუახლოვდი და ვუთხარი: შენ რომ ათასი ბავშვი გყავდეს, ტირილი ხომ დაგავიწყდებოდა - მეთქი! - ათასი ბავშვის მოვლას როგორ შევძლებდიო,-მიპასუხა.

შეძლებდი, დედი, შეძლებდი -გავამხნევე.“

ბატონი თამაზი ჩვენი თანაქალაქელია და ზაფხულობით სტუმრობს ხაშურს და უამრავი მოგონება აკავშირებს ჩვენს ქალაქთან, რომელსაც მომდევნო წერილებში შემოგთავაზებთ.

ესაუბრა ი. გოგიტაური.

სურათზე: ქართველ ებრაელთა ბრწყინვალე წარმომადგენელი ექიმი-ტრავმატოლოგი სონია კრიხელი, თამაზ შენგელია, ექიმი-ფიზიოთერაპევტი ცისანა შენგელია. გადაღებულია 80-იან წლებში კურორტ ბიჭვინთაში.

კავკასიონის ხედი ხცისის სანახებიდან.

არჩილ სუთიაშვილის ფოტო.

- ჭადრაკი -

ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები - ბათუმიდან

ჩვენი გაზეთის წინა ნომრებში, მკითხველს ვაუწყეთ ხაშურელი პატარა მოჭადრაკეების გამარჯვებაზე რეგიონულ ტურნირში. და აი, მორიგი წარმატება, თანაც მნიშვნელოვან, ფიდეს ეგიდით გამართულ ტურნირში.

ბათუმმა ჭადრაკის საერთაშორისო ტურნირს ამ დღეებში უმასძინძლა. ტურნირი საკმაოდ წარმომადგენლობითი იყო და პირველობისათვის ქართველი მოჭადრაკეების გარდა, აზერბაიჯანის, სომხეთის, უკრაინის, რუსეთის, არაბთა საამიროების და პოლონეთის წარმომადგენლები იბრძოდნენ.ხაშურელი ბავშვები შესანიშნავად გამოვიდნენ და საპრიზო ადგილებიც დაიკავეს. 10 წლიანებში ალექსანდრე აკოფაშვილი მეორე იყო (5 ქულა შვიდიდან) და მხოლოდ ნახევარი ქულით ჩამორჩა პირველადგილოსანს. აქვე, მე-5 ადგილი მოიპოვა ანდრია კახიშვილმა, რაც ასეთ წარმომადგენლობით ტურნირში სრულებითაც არაა ურიგო შედეგი.

12 წლიანებში მარიამ მჭედლიშვილმა გვასახელა, რომელმაც ბრინჯაოს მედალი წამოიღო ბათუმიდან.

აღსანიშნავია, რომ ამ ბავშვების მწვრთნელი ალექსანდრე ჭადაშვილი, რომელსაც მრავალი თაობა აღუზრდია და დღესაც წარმატებით აგრძელებს მოღვაწეობას, ტურნირზე მსაჯად იყო მიწვეული, რაც, რა თქმა უნდა, მის აღიარებას და მაღალ კომპეტენციას ადასტურებს.

D

განცხადება

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს ახალი კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, კოოპერატივის დამფუძნებელი და გამგეობის თავმჯდომარე პაატა ბარბაქაძე, 2023 წლის 28 სექტემბერს 16 საათზე, ჟორდანიას ქ. #2 - ში, ადმინისტრაციულ შენობაში, ატარებს კომპანიის საერთო კრებას. დღის წესრიგია: სადამფუძნებლო შეთანხმების და წესდების კონსოლიდირებული ვერსიის დამტკიცება, მართვისა და კონტროლის ორგანოთა დამტკიცება.

ხმის უფლების ყველა პირმა, რომელიც თვლის რომ დადგენილი წესით შეძენილი აქვს კოოპერატივის პარტნიორის უფლებები და ვადებულებები/ 1997 წლის მერე გადახდილი აქვს დამატებითი შესატანი, უნდა წარმოადგინოს ამის დამადასტურებელი საბუთები.

საკონტაქტო ტელ: 5 99 74 69 99
5 99 88 18 40

D

ამირან ბარბაქაძის ხსოვნას



ჩემო ძვირფასო ძმაო, 9 აგვისტო ჩემთვის არის დიდი ტკივილი. შენ იყავი ჩემი ძმა, აღმზრდელი და მშობელი. მეც ასაკში შევედი, მაგრამ სანამ ცოცხალი ვიქნები, შენი სახელი უკვდავი იქნება, შენ ჩემო ცეკვის ჯადოქარო, დამსახურებულო პადაგოგო. ჩემო ინტილიგენტო, მარტო დავრჩი, მაგრამ ყოველდღიურად ჩემი საფიცარი ხარ. არასოდეს არ დაიკარგება მეგობრებში შენი დიდი კაცობა, სამარადისო დიდება შენ სახელს!

შენი ძმა ომარი

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი და გაზეთის რედაქტორი გიორგი გოგალაძე, მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში.